პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) სენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

შაბათი, 15 ივლისი, 1950 წ. № 152 (8712). ფასი 20 კაპ.

მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. გუშინ, საღამოს სხდომაზე სესიამ ერთსულოვნად მიიღო კანონი საქართველოს სსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და შეიტანა სათანადო ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში; აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, უმაღლესი სასამართლოს წევრები და სახალხო მსაჯულები.

წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიამ, რომელმაც განიხილა საკითხი — საქართველოს სსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, გუშინ დაამთავრა თავისი მუშაობა.

როგორც რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა მოხსენებასა და საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებაში, ისე ბიუჯეტის განხილვისას კამათში გამოსულ დეპუტატთა სიტყვებში აღნიშნული იყო ის უდიდესი წარმატებანი, რაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა სამეფო-რნო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სესიის ტრიბუნიდან სიამაყით ლაპარაკობდნენ რესპუბლიკის თვალსაჩინო წარმატებებზე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში მოპოვებულ სიიროიზულ მიღწევებზე, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობაზე.

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის განკუთვნილი ხარჯების მოცულობა სულ უფრო და უფრო იზრდება. 1948 წელს იგი 608.143 ათას მანეთს უდრიდა, ხოლო 1949 წელს — 866.933 ათას მანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა წლის ზარჯებთან შედარებით 42,6 პროცენტით გაიზარდა და 2.7-ჯერ აღემატება 1940 წლის დონეს. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის განკუთვნილი ხარჯების მოცულობა სესიის მიერ დამტკიცებული 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით 984.485 ათასი მანეთით განისაზღვრება, რაც 117.552 ათასი მანეთით აღემატება შარშანდელს.

ბოდშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი განუხრელად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესებისათვის. ამის შესახებ მხურვალედ, კონკრეტული ფაქტებით ლაპარაკობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ფურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სესიის ტრიბუნიდან დეპუტატები თავიანთ სიტყვებში, ლაპარაკობდნენ რა პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის მიერ მოპოვებულ სერიოზულ წარმატებათა შესახებ, ამავე დროს ბოდშევიკურად ამხილებდნენ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, ახალ-ახალ გამარჯვებათა მოპოვებას. სესიაზე გაკრიტიკებულ იქნა ცალკეულ სამინისტროთა და ცენტრალურ ორგანიზაციათა მოუქნელი, არაოპერატიული მუშაობა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიის მუშაობიდან ყველამ, კერძოდ კი იმ სამინისტროებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომელთა სუსტი საქმიანობაც სამართლიანად ამხილა გაკრიტიკებული, სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ და ახლავე დასახონ ღონისძიებანი მათს მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად.

ამოცანა ის არის, რომ დეპუტატთა თვითეული კრიტიკული შენიშვნა, მათი ყოველი წინადადება შესწავლილ და მზადებლობისთვის მიღებულ იქნას შემდგომი მუშაობისათვის.

ახლა, როცა უკვე დამტკიცებულია საქართველოს სსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, მთელი ძალოვნე ენერგიენ უნდა მიმართოთო, რომ წარმატებანი შეეასრულოთ იგი და ამით ხელი შეეწყოთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განვითარებას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ახალ აღმავლობას, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ფორმა-ბრივი სტაბილობის ზრდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1950 წლის 14 ივლისის დილის სხდომის შესახებ

14 ივლისს, დილის 11 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. გიგაშვილი.**

დღის წესრიგშია განხილება მოხსენებისა საქართველოს სსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ბ. ე. ლომიძე** (მოლოტოვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ქუთაისი), დეპუტატი **შ. დ. ნუცუბიძე** (ადენის საარჩევნო ოლქი, ლაგოდეხის რაიონი), დეპუტატი **ვ. ვ. მირიანაშვილი** (ვარშოკის საარჩევნო ოლქი, წითელწყაროს რაიონი), დეპუტატი **ა. მ. რობაკი** (ნარაზენის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი), დეპუტატი **ო. ა. რუხაძე** (სტალინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი), დეპუტატი **ი. ლ. დვალი** (დმანისის საარჩევნო ოლქი, დმანისის რაიონი), დეპუტატი **ვ. ა. პაატაშვილი** (ბაკურიანის საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონი), დეპუტატი **ე. ვ. ტაკაძე** (ბუხანენკოს საარჩევნო ოლქი, ქობულეთის რაიონი), დეპუტატი **მ. ე. ყულიევი** (ბრონ-ასანის საარჩევნო ოლქი, ბოლნისის რაიონი), დეპუტატი **ი. ბ. რთველიაშვილი** (ტიანეთის საარჩევნო ოლქი, ქარელის რაიონი), დეპუტატი **ა. ა. ბაბუნია** (ფოთის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ქალაქი ფოთი), დეპუტატი **ლ. ა. რუხაძე** (გორდის საარჩევნო ოლქი, წულუკიძის რაიონი), დეპუტატი **ი. ო. მოსაშვილი** (ყანდაურის საარჩევნო ოლქი, აბაშის რაიონი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1950 წლის 14 ივლისის საღამოს სხდომის შესახებ

14 ივლისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. გიგაშვილი.**

დღის წესრიგშია საქართველოს სსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ვ. ა. ხატიაშვილი** (ზემო ალკასის საარჩევნო ოლქი, ახმეტის რაიონი), დეპუტატი **გ. ნ. ზამბახიძე** (ცაგერის საარჩევნო ოლქი, ცაგერის რაიონი).

კამათის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მინისტრთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ **რ. ა. კვირკველიას** სამოლოო სიტყვა.

დეპუტატ **კ. ბ. ჭიჭინაძის** წინადადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ წესს: სახელმწიფო ბიუჯეტს ეანენ ეყარონ შემოსავლისა და გასავლის განყოფილებათა მიხედვით, რესპუბლიკურ ბიუჯეტს — შემოსავლისა და გასავლის სიერთო ჯამების მიხედვით. კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიღებულ იქნას მეხლობრივად.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დამტკიცა საქართველოს სსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ანგარიში 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მეხლობრივად, ხოლო შემდეგ მილიანად ერთხმად მტკიცდება „კანონი საქართველოს სსრ 1950 წლის სოციალისტური რესპუბლიკის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვაზე—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ცვლილებისა და დამატების შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ვ. ი. ეგნატაშვილმა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს კანონს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19, 50, 55, 56 და 107 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ.

შემდეგ მტკიცდება კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 81, 102, 103 და 104 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 139[1] მუხლის ცვლილების შესახებ" და „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 141 მუხლის ცვლილების შესახებ".

შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად **ვახტანგ ვასილიძე-ძე მირიანაშვილის** და

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრად **გიორგი არტემის-ძე ალავიძის** დანიშვნის შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ ამხ. **მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძის** და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად ამხანაგების **ნიკოლოზ იაკობის-ძე ბოკუჩავას, ირაკლი ალექსანდრეს-ძე ყაველაშვილის, ლუკა ივანეს-ძე კალმასიძისს, შალვა მიხეილის-ძე ლეკვეიშვილის, გიორგი იოსების-ძე პაპასშვილის, ეფრემ ლევანის-ძე თათიაზოვის, დავით ანდრიასის-ძე ფუთურიძის, დომნიკა გრიგოლის ასულ ხანთაძის, გრიგოლ დმიტრის-ძე ცანავას, თამარ ეფტაფეს ასულ წერეთლისას** არჩევის შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევის შესახებ.

საქართ�ველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგი ამოწურულია.

სხდომის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. გიგაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიას დახურულად აცხადებს.

საბჭოთა ხალხი მზეკიცედ დგას მშვიდობის საღარაჯოზე

კორეელი ხალხისადმი სოლიდარობის ნიშნად

— სტალინურმა ეთოქამ ჩვენ თავიანთფალი შრომისა და ბედნიერი ცხოვრების ყველა პირობა — შეგვიქმნა, — თქვა თბილისის ელექტრონის ხახლების ქარხანაში გამართულ კრებაზე კომკავშირელმა ზურაბ ალ. ბ. თბილელმელმა, — ჩვენ არ გვინდა ომი, მას ეხლოდ ნგრევა და გასაგდაწერა მოაქვს. ამიტომ მოგიწოდებთ ხელი მოეაწეროთ სტოკოლმის მოწოდებას, რადგან იგი მშვიდობისმოყვარე მილიონიან ადამიანთა სურვილებს გამოხატავს.

ამხ. ბ. თბილელმელმა კომკავშირელი ბრიგადის სახელით პირობა დადო ელექტრონის საწარმოო დავალება 200 პროცენტით შეასრულოს.

მაზნებარე სიტყვა წარმოთქვა კომუნისტმა ფიერაგინა.

— ჩვენ ვერ მოვითმენთ, — თქვა მან, — ამერიკელთა თავხედობას კორეელი ხალხის მიმართ. მოვითხოვთ ამერიკიან დაუფუძენელად გაიაყვანოს თავისი ჯარები კორეიდან.

— მთელი მსოფლიოს მშვიდობის-მოყვარე საზოგადოებრიობის აზრი და ფიქრი მიმყარობილია გმირი კორეელი ხალხისკენ,—თქვა კრებაზე ახალგაზრდა მუშამ ს. მოსკალიშვილმა, — კორეელი ხალხი გმირულად იბრძვის დამპყრობთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში სანელოვან წარმატებას აღწევს. კორეელი ხალხისადმი სოლიდარობის ნიშნად, მშვიდობის საქმის სასარგებლოდ უკეთესად ვიმუშაოთ, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, არ დაეუშვათ წუნდებული პროდუქციის გამოშვება.

სარემონტო საამქროს ზენეკალმა ფ. მიხაილოვმა, მრავალამა ვ. ავალოვმა კრების მონაწილეებს მოუწოდა თავიანთი ხმა შეუერთონ მილიონთა ხმებს — ეროსულთანად მოაწერონ ხელი მშვიდობის მოზრეთა სტოკოლმის მოწოდებას.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია.

გმობენ ომის გამჩაღებლებს

ახმეტა. (საკ. კორ.). სოფელ ქოსტიერის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას მიეძღვნა, მეზზნბარე სიტყვა წარმოთქვა ლენინის ორდენოსანმა მეპატრუშემეშ ოსანი ალეგზაშვილმა.

— ჩვენ, საბჭოთა ფეოდები, — თქვა მან, — ვგმობთ ომის გამჩაღებლებს. ჩვენ არ გვინდა, რომ კვლავ დაიღვაროს ჩვენი ქმრების, ძმების და შვილების სისხლი. ვეჯიერა, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს, რადგან მშვიდობის საქმეს მეთაურობს დიდი სტალინი. ყველანი ერთსულოვნად მოვაწეროთ ხელს მოწოდებას, სტახანოვურად ვიმუშავებთ ჩვენი ქვეყნის შემდგომი გაძლიერებისათვის.

ანტიკოტელი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე კოლმეურნეებმა ხოსიანმა, ფურჩალაშვილმა და სხვებმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება, რომლითაც მზურვალედ მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის რეზოლუცია ატომური იარაღის აკრძალვის თაობაზე.

კრების დამთავრებისთანავე დაიწყო სტოკოლმის მოწოდებაზე ხელმოწერა. პირველად ხელი მოაწერეს სახელმძღვანელმა მეპატრუშემეშემ ოსანი ალეგზაშვილმა, ნუშო დურგალშვილმა და სხვებმა.

სტახანოვური შრომით განვამტკიცებთ სამშობლოს ძლიერებას

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, კანონიერად ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი სამშობლოო მშვიდობის ურყევი ბურჯია მთელ მსოფლიოში.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები გამალებენ ახალ ოცეანელ-ეს. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ახალი ომის ხანძარი დაანთონ. ამერიკელ აგრესორთა თვითმფრინავები ბარბაროსულად ბომბავენ, ანადგურებენ მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის ქალაქებსა და სოფლებს.

რეაქციის ძალები, ბრძნობენ რა თავიანთი აღსასრულის მოახლოებას, გამოსავალს ახალ ომში ეძებენ. მაგრამ მათი ცდა ამაოა.

თბილისის საორთქმალავო დეპოს კოლექტივი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მრისხანე პროტესტს აცხადებს ამერიკელ იმპერიალისტთა და მათ ხელშეშფყობთა ყაჩაღური აგრესიის წინააღმდეგ, რომელნიც ხელყოფენ კორეელი ხალხის ბედნიერებას და დამოუკიდებლობას.

— სტახანოვური შრომით განვამტკიცებთ თვალ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯებს—საბჭოთა საშშობლოს ძლიერებას, — ასეთია ჩვენი დევიზი კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

დღეისათვის 17 წლის საწარმოო გეგმა მაკეს შესრულებული. ხელი მოეაწერა ორ სტაკანოვის მოწოდებას, ახალი ვალდებულება ვიკისრეთ: ყოველდღიური დავალება 350 პროცენტით გავანაღდოთ. დარწმუნებული ვარ, ამით ჩემს წელილს შევიტან შვიდობის საქმეში.

დაე ახსოვდეთ ახალი ომის გამჩაღებლებს — ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს, რომ საბჭოთა ხალხი ეძლიერეთ და ყველაფერს გააკეთებს ხალხთა შორის შვიდობის დასაცავად.

შვიდობა სძლევს ომს.

დიდება დიდ სტალინს — მთელ მსოფლიოში მტკიცეს შვიდობისათვის მებრძოლთა მეფრაზეს.

ბ. ხმიდაშვილი

თბილისის ხორთქმალავო დეპოს „წევეთის საამქროს სტახანოველი ზეინკალი

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 10 ივლისის ცნობებით)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება % წლიურისა	ივლისის
ბათუმი	60,5	38,6
ქობულეთი	57,5	30,4
სულ აჭარაში	**58,3**	**33,8**
გალი	58,2	23,8
ოჩამჩირე	54,4	12,9
გუფრიფში	56,4	15,2
სოხუმი	62,9	11,2
გუდაუთა	63,8	23,4
სულ აფხაზეთში	**57,8**	**19,6**
მახარაძე	62,5	31,8
ჩოხატაური	74,9	31,2
ლანჩხუთი	60,3	29,6
სამტრედია	59,4	30,7
წალენჯიხა	59,6	41,7
ფაფანური	61,9	35,2
წყალტუბო	69,5	33,4
ტყიბული	60,0	38,6
ცხინვალი	53,3	27,0
ამაღა	60,6	39,5
გაგრაკორი	62,1	34,5
ზუგდიდი	58,0	34,6
წალენჯიხა	51,9	28,6
ჩხოროწყუ	52,7	21,2
ხობი	48,8	28,5
ჩაური	63,1	36,7
ზესტაფონი	83,3	36,7
სულ საქართველოს სსრ	**59,2**	**30,1**

მახარაძის, ლანჩხუთის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების ცნობები ბოლომდე. ივლისის პირველ ხუთდღიურში საქართველოში მოკრეფილია 1.805,9 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, მეორე ხუთდღიურში — 4.094,9 ტონა.

მზარდი ზემკით განვაგრძოთ სანაგმოო დავალებათა შესრულება

მოწინავე ბრიგადა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ თბილისის საამქროები, ბრიგადები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ძაფსაღებავიანი საამქროს ის ბრიგადა, რომელსაც ლ. ჯინჭარაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ თავი ისახელა ნედლეულის ეკონომიისათვის ბრძოლაში, გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და მიაღწია თვითღირებულების შემცირებას. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ლ. ჯინჭარაძის ბრიგადამ მოიმოქმედა 11,6 კილოგრამი ნართი, პირველხარისხოვანი პროდუქცია 99,2 პროცენტამდე გაადიდა და საწარმოო დანაგადანი ნაყოფიერება 117 პროცენტამდე გაზარდა.

ბრიგადაში 20 მუშაა. მათ შორის ფუნქციონის სწორად განაწილებამ, ინდივიდუალური შეჯიბრების გაშლამ დიდად შეუწყო ხელი ბრიგადის თვითეული წევრის მუშაობის გაუმჯობესებაში. ბრიგადის წევრთა შრომის ნაყოფიერებამ საშუალოდ 122 პროცენტს მიაღწია.

ლ. ჯინჭარაძის ბრიგადამ კომბინატის ბრიგადებს შორის შეჯიბრებაში დამსახურებულად მოიპოვა პირველობა.

პითეოსს ახალი კონსტრუქციის ლაზებები

კიროველმა დაზგაიმშენებლებმა, რომლებიც დიდი გადაკარებებით შესრულეს დაზგების გამოშვების ნატვერი წლის გეგმა, განცალ ექეს თვე ადრე ასეულ ათასობით მანეთის ზეგადმოთი პროდუქცია გამოუშვეს.

საამქროთა შორის მოწინავეთა რიგებში არიან მექანიკური, ამწყობი და საიარაოო საამქროები.

მრავალდაზგოსანმა ხარატმა პ. ზუბრიკამ და ა. ავაკიანოვამ ახალი რაციონალიზატორული წინადადება განახორციელეს, გაუჯდა ოპერეს დაზგის ერთი ნაწილი, რაც შრომის ნაყოფიერებას ერთი-ორად ამაღლებს.

ქარხნის წარმინებენელი სტახანოველები ა. ბენდიანიშვილი, ვ. ფირცხალავა, გ. ჩიტაძეები, გ. ზარქუა, ტ. ფდონენა, პ. ზუბრიკეი, ა. ავაკიანოვი, ი. სარიჩეკი და ათობით სხვა სტახანოველი გამოიქუმაგეს დიდიერ ნორმებს ორ-სამმაგად ასრულებენ.

ფეიქრები სტახანოვურ ვახაზეზე

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა საფეიქრო საწარმოთა შორის კვლავ მოწინავეთა რიგებშია. ფაბრიკის კოლექტივმა მზა ნაწარმის გამოშვების 6 თვის დავალების დიდად გადაჭარბება და გეგმის გადამეტებით 131.500 მეტრი ქსოველი გამოუშვა.

მრთველებმა ო. სულამერიძემ, ვ. გოლეტნიერეამ და ქ. ბარამიძემ დაზოგეს ათასობით კილოგრამი ნართი. მქსოველები ეგოროვა და ტარტიხანოვა მხლოდ პირველხარისხოვან ქსოველს უშვებენ.

ფაბრიკის კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრებაში ჩაება და აეცილა მზა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 200.000 მეტრი ქსოველი და დაზოგოს 65 ტონა ნედლეული.

მაღაროელთა შრომითი აღმავლობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები მუშაობენ ლენუნგიო: მივეცეთ საამბოლოო ბეტი მარგანეცი, უფროო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ძლიერება, უზრუნველყოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

მაღაროელებმა განსაკუთრებით მაღალაფაფიციერად დაიწყეს სამეფნეო წლის მეორე ნახევარი. ივლისის პირველი დეკადის დავალებას მარგანეცის ტრესტმა 15 პროცენტით გადაკარბა. თავდადებულად შრომობენ ტალინის, ღიმეტიოვისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროო კოლექტივები, რომლებიც დღიერ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ანადგენენ. ივლისში წარმატებით მუშაობს და დავალებას გადაჭარბებით ანადგენს ბერიას სახელობის მაღაროს კოლექტივიც.

თავდადებული შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან სტახანოველები ა. გაფრინდაშვილი, ფ. ჭიოლაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ა. ნადირაძე, ტ. ჭიოლაძე, ფ. მირონტაძე, ი. თაბაგარი და ი. ცეცქირიძე.

პარტიის ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

ი. ბ. სტალინის ნაშრომი „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“

ორმოცდახუთი წლის წინათ, 1905 წლის 15 ივლისს, გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ № 10-ში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“. ამ სტატიაში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა რუსეთის პირველ რევოლუციამდე შეიარაღებული აჯანყების ბოლშევიკური ტაქტიკის ბრწყინვალე დასაბუთება.

XX საუკუნის დამდეგს რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ცარიზმის დამხობისა და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურის დამყარების საკითხი. ამ ამოცანის განხორციელება, ლენინისა და სტალინის აზრით, შეიძლებოდა მხოლოდ ხალხის ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების გზით.

აჯანყებისთვის პროლეტარიატისა და გლეხობის დარაზმვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთ მთავარ და აუცილებელ ამოცანად იქცა. მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით, რევოლუციის შეიარაღებული ძალისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის გზით შეიძლებოდა გადამწყვეტი გამარჯვების მიღწევა ცარიზზე, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარება.

ბოლშევიკური პარტიის III ყრილობამ, რომელმაც შეიმუშავა პარტიის ტაქტიკური ხაზი რევოლუციაში, აღნიშნა, რომ საერთო დემოკრატიულმა მოძრაობამ რუსეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის აუცილებლობამდე მიგვიყვანა და დღის წესრიგში დააყენა აჯანყებისათვის პროლეტარიატის დარაზმვის საკითხი. ყრილობამ კონკრეტულად განსაზღვრა აჯანყების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ეკვანი საკითხი.

III ყრილობიდან ორი თვის შემდეგ, 1905 წლის ივლისში, ვ. ი. ლენინმა თავის ისტორიულ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ მოგვცა ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის გენიალური დასაბუთება და შეხედვიკების ტაქტიკის კლასიკური კრიტიკა.

ი. ბ. სტალინი ამ პერიოდში სათავეში ედგა ამიერკავკასიის ბოლშევიკების, დიფლომატ მუშამის ეწოდა ბოლშევიკური ხაზისთვის რევოლუციაში. ამ ხანაგმა სტალინმა ლენინთან ერთად გენიალურად განსაზღვრა პროლეტარიატის ახალი ამოცანები, ახალი პერსპექტივები: **„პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907 წლები) ამხანაგი სტალინი იყო ლენინური ხაზის მტკიცე გამტარებელი, ამიერკავკასიის ბოლშევიკთა და რევოლუციურ მუშათა და გლეხთა ბელადი და ხელმძღვანელი“** (ლ. პ. ბერია).

ამხანაგი სტალინი მეწმენეველების, ანარქისტების, ფედერალისტებისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტიული პარტიების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში იცავდა და ავითარებდა ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკურ საფუძველებს.

სტატიაში „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“, რომელიც დაწერილია იმავე დროს, როცა დაიწერა ლენინის ნაშრომი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, ამხანაგმა სტალინმა ამნილა ოთვარიც ქართველი, ისე რუსი მეწმენეველების ოპორტუნისტული ტაქტიკური შეხედულებანი და გენიალურად დაამშვენა ბოლშევიკების ტაქტიკა შეიარაღებული აჯანყების საკითხში. ამ სტატიაში ამხანაგ სტალინის მიერ განვითარებული დებულებები საუბნით დაემხეა ლენინის დებულებებს, რომლებიც მან განავითარა ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

ამხანაგ სტალინის სტატიის „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“ უდიდესი თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მან საშუალება მისცა პარტიელ ორგანიზაციებს გარკვეულიყვნენ პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებში აჯანყების მოწყობის საკითხზე და გაეჩალებინათ ბრძოლა მათი განხორციელებისათვის.

საერთოდ მეწმენეველები და კერძოდ კავკასიელი მეწმენეველები უარყოფდნენ მუშათა საყოველთაო პოლიტიკურ დეფიციას, როგორც შეიარაღებული აჯანყების აუცილებელ საფეხურს, უარყოფდნენ თვით შეიარაღებული აჯანყების მოწყობის აუცილებლობას, ქედს იხრიდნენ ხალხიერობის წინაშე, აყენებდნენ მასების „თვითშეიარაღების“ ოპორტუნისტულ იდეას.

წინააღმდეგ მეწმენეველებისა, ლენინს და სტალინს, ბოლშევიკებს ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვების ერთადერთ საშუალებად მიიჩნდეთ ხალხის ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყება. „რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, — წერდა ლენინი,—მხოლოდ ხალხიერი აჯანყების შედეგად“ (თხზულებანი, ტ. 9, გვ. 12).

ლენინი იძლეოდა კონკრეტულ მითითებებს მებრძოლი რაზმების შექმნისა და მათი შეიარაღების შესახებ, შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და მოწყობის შესახებ.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი ამხილებს მეწმენეველების ოპორტუნიზმს შეიარაღებული აჯანყებისადმი დამოკიდებულების საკითხში, ასაბუთებს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ყოველთვის სათავეში უდგას პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას, პროლეტარიატში შეგვნება შეაქვს, მომავლის გზას უჩვენებს და რევოლუციისათვის ამზადებს, მაგრამ რევოლუციის ხანაში სოციალ-დემოკრატიის ამოცანა უალრესად ფართოვდება. მან რევოლუციის დროს პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდისა და ორგანიზაციის ცენტრი რევოლუციური არმიის შექმნისაკენ, შეიარაღებული აჯანყების მოწყობისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ უნდა გადაატანოს, რადგან პროლეტარიატის მებრძოლი არმიის შედეგნა და შეიარაღებული აჯანყება უფრო აღრმავებს კლასობრივ შეგნებას, ვიდრე პროფესიული კავშირები და ლეგალური საზოგადოებები. „ჩვენ ახლა უნდა გავაათკეცოთ პოლიტიკური აგიტაცია,—წერდა ამხანაგი სტალინი, — უნდა ვეცადოთ ჩვენს გავლენას ვაკუთვნირილოთ არამც თუ პროლეტარიატი, არამედ „ხალხის“ ის მრავალი ფენა, რომელიც რევოლუციის თანდათან ემხრობა. ჩვენ უნდა ვეცადოთ მოსახლეობის ყველა კლასში აჯანყების აუცილებლობის დღის საწელი მოეკუთვოოთ. მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავაკერკნდებით! პროლეტარიატმა რომ თავისი კლასობრივი ბრძოლის მიზნის მისაღწევად მომავალი რევოლუციათ ისარგებლოს, ისეთი დემოკრატიული წესწყობილება რომ დაამყაროს, რომელიც შემდეგ ბრძოლას სოციალიზმისათვის ყველაზე მეტად უზრუნველყოფს,—ამისთვის საჭიროა არა მარტო ის, რომ ბრძოლის შუაგულში პროლეტარიატი მოჰყვეს, რომლის გარშემო ოპოზიცია შემოკრიბება,— არამედ ისიც, რომ აჯანყების მეთაური და ხელმძღვანელი თვით პროლეტარიატი შეიქმნას“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 127).

შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში ამხანაგი სტალინი სოციალ-დემოკრატიული პარტიის უპირველეს ამოცანად თვლიდა შეიარაღებული მასების ავანგარდის შექმნას, რადგან უკანასკნელ შეუძლებელი იქნებოდა გამარჯვება. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო სტრატეგიული და ტაქტიკური ხელმძღვანელობის შეთავსება, პროლეტარიატის მხარეზე რევოლუციის რეზერვის მიმხრობა და ოპორტუნისტიული პარტიების იზოლირება, პარტიის სამხედრო სმრძოლო ძალების შექმნა და აჯანყების მომზადება ტექნიკურად. პროლეტარიატს არ შეუძლია გაიმარჯვოს რევოლუციაში, თუ მისმა პარტიამ ვერ მეძლო რევოლუციის ძალთა შეიარაღება. „სწორედ **ტექნიკური ხელმძღვანელობა და მთელი რუსეთის აჯანყების ორგანიზაციული მომზადება** — წერდა ამხანაგი სტალინი, — აი ის ახალი ამოცანა, რომელიც პროლეტარიატს დაუსახა ცხოვრებამ. და, თუ ჩვენს პარტიას სურს მუშათა კლასის ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელი იყოს, ის ამ ახალი ამოცანის შესრულებას ვერ უარყოფს და არც უნდა უარყოს“. (იქვე, გვ. 127).

აჯანყების გამარჯვებისათვის ბოლშევიკებს საკმარისად არ მიაჩნდათ პარტიო მთავრობისადმი სიძეულვილი, არამედ ამასთან ერთად საჭირო იყო რაზმების შედგენა, ბრძოლის ტაქტიკის გამომუშავება და გაგებული თავდასხმა. მთავრობის ძალებზე თავდასხმისათვის ამხანაგი სტალინი საჭიროდ ცნობდა შეიარაღებას, სამხედრო ცოდნის დაფუძვლას და გაწვრთნილი რაზმების მომზადებას. ამხანაგი სტალინი პარტიულ ორგანიზაციებს ავალებდა დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ხალხის შეიარაღებას, იარაღის შესაძენად სპეციალური ჯგუფების შედგენას და რაიონული ჯგუფების შექმნას, იარაღისა და სხვადასხვა ასაფეთქებელი მასალის დამამზადებელი სახელოსნოების მოწყობას, იარაღის საწყობებისა და არსენალების ხელში ჩაგდებას. „ჩვენ უნდა შეეიარაღოთ ხალხი, —წერდა ამხანაგი სტალინი, — არამცოუ „მეშვავე მოთხოვნილებით თვითშეიარაღებისა“, როგორც გვერჩეს ახალი „ისკრა“, არამედ საქმით უნდა მივიღოთ „ყოველგვარი ენერგიული ზომა პროლეტარიატის შესაიარაღებლად“, როგორც პარტიის მესაგე ყრილობამ დაგვავალა“ (იქვე, გვ. 128).

იარაღის შოვნასა და ხალხის შეიარაღებასთან ერთად ამხანაგი სტალინი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევდა მებრძოლი ჯგუფების და სამხედრო-ტექნიკური ორგანიზაციების შექმნას, მათ სამხედრო გაწვრთნას. მებრძოლ ჯგუფებს იარაღის კარგად ხმარება უნდა შეესწავლათ და აჯანყების დროს მთავარ და მოწინავე რაზმებად გამოსულიყვნენ, შემოკრებიათ მთელი აჯანყებული ხალხი, ფართოდ გაევრეულებინათ პროლეტარიატში სამხედრო-ტექნიკური ცოდნა, რათა ამ მებრძოლი ჯგუფების გამოცდილებისა და დარაზმულობის წყალობით აჯანყებული ხალხის მთელი ძალები გამოყენებულიყო ყოფილიყო რევოლუციის გამარჯვების ინტერესებისათვის.

მაგრამ ამ მებრძოლ ჯგუფებს დიდი ამოცანა უნდა გადაეჭრათ არა მარტო რევოლუციური აჯანყების დღეებში, არამედ აჯანყების წინადღეებიც; მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ მეფის მთავრობის ხელმძღვანელობით მოწყობილი შავი რაზმებისათვის. „შეიარაღებული მებრძოლი ჯგუფები, — წერდა ამხანაგი სტალინი, — რომელნიც ყოველ წამს მზად იქნებიან გამოვიდნენ ქუჩაში და ხალხს წინ წარუძღვნენ, აღვილად მიაღწევენ მესაგე ყრილობის მიერ დასმულ მიზანს, — „შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაეუწიოთ მავი რაზმების გამოსვლას და საზოგადოდ ყველა ეკონომიკურ ელემენტს, რომელსაც მთავრობა ხელმძღვანელობს“ (იქვე, გვ. 130). ამხანაგი სტალინი დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ აჯანყებათა შეთანხმებას ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საერთო აჯანყებებთან. პარტიული ორგანიზაციებს „ერთი უმთავრესი ამოცანა ის უნდა იყოს,—წერდა ამხანაგი სტალინი, — რომ შეიმეშაოს თავისი რაიონისთვის აჯანყების გეგმა და შეუთანხმოს ის მთელი რუსეთისთვის პარტიული ცენტრის მიერ გამომუშავებულ გეგმას“ (იქვე).

და როდესაც ყველაფერი ეს მომზადებული იქნება, — წერდა ამხანაგი სტალინი პროკლამაციაში „რა გამორჩევა?“—„...პარტია სიგნალს აძლევს, —და იწყება საერთო აჯანყება. შეიარაღებული პროლეტარიატი, საერთო გაფიცვით ამღელვარებული, ეცემა არსენალებს, სახელმწიფო ბანკებს, ფოსტას, ტელეგრაფს, რკინიგზებს,—ყველა ეს შეძლებისდაგვარად ერთსა და იმავე დროს ხდება, რომ მთავრობას ერთ ადარ დარჩეს „ზომების მისაღებად“; ამ მოწინავე ქალაქებს უკან მიჰყვებიან დანარჩენი ქალაქები, მათ უკან მიჰყვებიან სოფლები... აი ამას ჰქვია აჯანყების მოწყობა“ (ციტირებული ლ. ბერიას ზრომიდან „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 79).

ამ გვგმის საფუძველზე ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ და გლეხთა საუკეთესო ელემენტებისაგან ისინი ქმნიდნენ მებრძოლ ჯგუფებს და აიარაღებდნენ მათ. ამ საქმეს ამხანაგ სტალინის დაკვალებით ხელმძღვანელობდა ლ. ორჯონიკიძე. მოკლე ხნის განმავლობაში შედგენილ იქნა ძლიერი რაზმები თბილისში, ქუთაისში, ფოლადსა და სხვა ადგილებში. რაზმებში გაერთიანებულები იყვნენ სამხედრო პირები, ირჩეოდა სამხედრო საკითხები, სწავლობდნენ იარაღის ხმარებას, ტაბიერაფიას, ადგენდნენ სამოქმედო რაიონის გეგმას თავგანი პუნქტების აღნიშვნით და ამეკარად პრაქტიკულად ახორციელებდნენ პარტიის მითითებებს აჯანყებისათვის მზადების შესახებ.

ვ. ი. ლენინი დიდ შეფასებას აძლევდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების მეშუბოსნს შეიარაღებული აჯანყების მომზადების სამეშო. ლენინი წერდა: „ჩვენ გაგვისწრეს კავკასიამაც, პოლონეთმაც, ბალტიისპირა მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთი ცენტრებმა, სადაც ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“ (თხზულებანი, ტ. 10, გვ. 127).

რუსეთის პირველი რევოლუცია დაბარცხდა, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა პროლეტარიატის სამოლოო დამარცხებას. „რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, — წერდა ამხანაგი სტალინი,—მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის ახალი სახელოვანი ბრძოლისთვის ემზადება. რუსეთის პროლეტარიატი ძრწის არ დაბრის სისხლით შეღებილ დროშას, ის არაგის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთადერთი ღირსეული ბელადი იქნება რუსეთის რევოლუციისა“ (ტ. 1, გვ. 195).

ამხანაგ სტალინის გენიალური წინასწარმეტყველება გამართლდა. რუსეთის პროლეტარიატმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით უკან დაიხია წესრიგით, შეიმარჩუნა თავისი კაღრები, მოიკრიბა ძალები, შემდეგ კვლავ გადავიდა შეტევაზე ტრის წინააღმდეგ და 1917 წელს მოახდინა ჯერ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, ხოლო შემდეგ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

ი. მირცხულავა
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ვ. ი. ეგნატაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება და სირთულე. ეს განსაკუთრებით საგრძნობი ვახდა უკანასკნელ წლებში, როდესაც საქმეთა სახელმწიფოს შეჯერებისა განვითარებამ და განმტკიცებამ ალალ მოთხოვნილება წარუდგინა ჩვენი სოფლის სოციალისტურ მეურნეობას.

საჭირო გახდა მისი ზოგიერთი დარგის გამოყოფა და ცალკე უწყების შექმნა.

საჭირო გახდა მთელი სოფლის მეურნეობის გაძლოლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერება.

ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1950 წლის 13 მაისის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგეობისა და ცალკეული ტერიტორიული ტექნიკური კულტურების: ჩაი (ატატუსები, ტუნგო, ვენაში, შაქრის ჭარხალი, ეფერ-ზეთოვანანი, თამბაქო, ბეხილეობა; მეკარეშუძეობა და მათ გასაძლოლად შეიქმნა საქართველოს სსრ ტექნიკურ კულტურათა საყვამოირეს ეკონომიკურ სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 18 იანვრის ბრძანებულებით ქალაქი გორი გამოიყო გორის რაიონის და მიეკუთვნა რუსპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს.

იმავე 1950 წლის 18 იანვრის ბრძანებულებით თბილისის რაიონის ტერიტორია შეუერთდა ქალაქ თბილისს და შეიქმნა ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეიმუშავა ეს ბრძანებულებანი.

ეკითხულმან საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების კანონის პროექტმ.

„კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს **საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს **პრ**ეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1950 წლის 13 მაისისა — „საქართველოს სსრ ტექნიკურ კულტურათა სამინისტროს შექმნის შესახებ“.

1950 წლის 18 იანვრისა — „ქალაქ გორის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებზე მიკუთვნების შესახებ“.

იმავე 1950 წლის 18 იანვრისა—„საქართველოს სსრ თბილისის რაიონის ტერიტორიის ქალაქ თბილისთან შეერთებისა და ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონის შექმნის შესახებ“.

საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1950 წლის 17 ივნისს დამტკიცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 25 თებერვლის ბრძანებულება, რომლის თანახმად სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სამინისტროს გამოიყო სამხედრო-საზღვაო ძალები და შეიქმნა საკავშირო სამხედრო-საზღვაო სამინისტრო; ამასთან დაკავშირებით შეიარაღებულ ძალთა სამინისტროს ეწოდა სსრ კავშირის სამხედრო სამინისტრო.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის სათანადო მუხლი უნდა შეესაბამებოდეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას 78 მუხლს, სადაც ჩამოთვლილია საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო მოთავსებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56 მუხლში, სადაც აღნუსხულია რესპუბლიკური სამინისტროები. ფაქტიური მდგომარეობის შესაბამისად ეგი უნდა იყოს 55 მუხლის ნუსხაში, სადაც დასახელებულია საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები.

2. ამის შესაბამისად საჭიროა შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19, 50, 55, 56 და 107 მუხლებში, რომლებიც შემდეგნაირად უნდა გამოიხატოს:

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამრეთო ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშა, ადიგენი, ამბროლაური, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჩალოს, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზემო სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თიანეთის, კასპის, კაჯრეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მასპარეძის, მეტეხის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქვემო სვანეთის, ქლეტორნის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიის, წალენჯიხის, წალკის, წნორეულ-ყაროს, წულეკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონებს შემადგენლობაში არ შედიან“.

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრები:

ადგილობრივი მრეწველობისა;

განათლებისა;

ვაჭრობისა;

იუსტიციისა;

კვების მრეწველობისა;

კინოფოტოგრაფიისა;

ლოგინალური მეურნეობისა;

მსუბუქი მრეწველობისა;

საავტომობილო ტრანსპორტისა;

საგარეო საქმეთა;

საბჭოდრო;

საბუღალტრო და ქაღალდის მრეწველობისა;

საბუჟო მეურნეობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

სახელმწიფო უშიშროებისა;

სახელმწიფო კონტროლისა;

სოფლის მეურნეობისა;

სოფლიური უწარეწველეოფოესა;

ტექნიკური კულტურათა;

ფინანსთა;

ფინანგან საქმეთა;

წყალთა მეურნეობისა;

ხორეკისა და რძის მრეწველობისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;

კულტურეოლ-საგანმანათლებელო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე“.

„მუხლი 55. საქართველოს სსრ-ის საკავშირო - რესპუბლიკური სამინისტროები:

ავიაბრობისა;

ოფსტატეციისა;

ქვების მრეწველობისა;

ეთნოგრაფიოფიისა;

ძუბუტეი ძრეწველობისა;

საგარეო საქმეთა;

სამხედრო;

სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;

ცალკეული მრეწველობისა;

სატყეო მეურნეობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

სახელმწიფო უშიშროებისა;

სახელმწიფო კონტროლისა;

სოფლის მეურნეობისა;

ტექნიკური კულტურათა;

ფინანსთა;

ფინანგან საქმეთა;

წყალთა მეურნეობისა;

ხორეკისა და რძის მრეწველობისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;

კულტურეოლ-საგანმანათლებელო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე“.

„მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ადგილობრივი მრეწველობისა;

განათლებისა;

კომუნალური მეურნეობისა;

საავტომობილო ტრანსპორტისა;

სოციალური უზრუნველყოფისა“.

„მუხლი 107. ქალაქ თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ-ის სათანადო სამინისტროებს“.

საჭიროა აგრეთვე საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის დაზუსტება და საქართველოს უმაღლესი საბჭოს კანონებთან მათი შესაბამისობის დამყარება.

იმ განყოფილებათა ნუსხას, რომლებსაც ქმნიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები, ყველგან უნდა დაემატოს კულტურულ-საგანმანათლებელო მუშაობის განყოფილება, ხოლო განყოფილებათა ნუსხას, რომელსაც ქმნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები, გარდა ამისა, დაემატოს სოფლო და საოლქეთერნეო მშენებლობის განყოფილება.

ამ სამმართველოთა რიცხეს, რომლებიც ახსნებენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, უნდა დაემატოს სასოფლო და საოლქეთერნეო მშენებლობის საქმეთა სამმართველო.

შესაბამისად ამისა საჭიროა სათანადო ცვლილებისა და დამატების შეტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 81, 102 და 104 მუხლებში, რომლებიც შემდეგნაირად უნდა გამოიხატოს:

„მუხლი 81. სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქმნის შემდეგ განყოფილებებს:

ადგილობრივი მრეწველობისა;

ვაჭრობისა;

კომუნალური მეურნეობისა;

საავტომობილო ტრანსპორტისა;

კულტურულ-საგანმანათლებელო მუშაობისა;

საგზაოს;

საერთოს;

სატყეო მეურნეობისა;

საფინანსოსა;

(დასასრული მე-3 გვერდზე)

